ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 5 თებერვლის სხდომის

ოქმი #2

2021 წლის 5 თებერვლის შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 28.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება;
2. მიმდინარე საკითხები.

1) მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრეს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 1). შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს სთხოვა დაეზუსტებინათ მისაღები კონტიგენტის რაოდენობა შესაბამის პროგრამებზე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ბ.თუთბერიძემ, მ.ხაჩიძემ, გღვედაშვილმა, ნ.დორეულმა, თ.კერერსელიძემ, ო.ფურთუხიამ, ო.მუკბანიანმა, ლ.მაჭავარიანმა, ზ.სეფერთელაძემ, დ.კერესელიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2021 წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2021 წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი (იხ. დანართი 1).

4) მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე – მიმდინარე საკითხები. აქ განხილული იყო ორი საკითხი. კერძოდ,

ა) ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ქეთევან ჩუბინიძის სადოქტორო დისერტაციის სათაურის დაზუსტება;

ბ) ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამაში მისანიჭებელი ხარისხის დაზუსტება.

ა) ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ქეთევან ჩუბინიძის სადოქტორო დისერტაციის სათაურის დაზუსტება. საკითხი წარმოადგინა ფაკულტეტის საბჭოს

თავმჯდომარემ, ბატონმა რამაზ ხომერიკმა. დოქტორანტ ქეთევან ჩუბინიძის სადოქტორო დისერტაციის არსებული სათაური „ადამიანის პროსტატის უჯრედებიდან ზრდის შემაკავებელი ფაქტორის გამოყოფა და ოქროს ნანონაწილაკებთან მათი შეკავშირების მიზნით ახალი მიდგომის შემუშავება“ დაზუსტდა და შეიცვალა ახალი სათაურით „ადამიანის პროსტატის კეთილთვისებიან სიმსივნურ უჯრედებში ზრდის შემაკავებელი ფაქტორის იდენტიფიცირება და თერაპიული მიზნით მისი გამოყენების მიზანშეწონილობის დადგენა“ (ხელმძღვანელები პროფ. დიანა ძიძიგური, პროფ. ომარ მუკბანიანი).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ა. შენგელაიამ, დ.ძიძიგურმა, ა.უგულავამ, ნ.დორეულმა და სხვებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ქეთევან ჩუბინიძის სადოქტორო დისერტაციის დაზუსტებული სათაურის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, ქეთევან ჩუბინიძის სადისერტაციო ნაშრომის ახალი სათაური „ადამიანის პროსტატის კეთილთვისებიან სიმსივნურ უჯრედებში ზრდის შემაკავებელი ფაქტორის იდენტიფიცირება და თერაპიული მიზნით მისი გამოყენების მიზანშეწონილობის დადგენა“ (ხელმძღვანელები პროფ. დიანა ძიძიგური, პროფ. ომარ მუკბანიანი).

ბ) ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამაში მისანიჭებელი ხარისხის დაზუსტება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ და აღნიშნა, რომ კვალიფიკაციების ჩარჩოში ცვლილებებთან დაკავშირებით მისანიჭებელი ხარისხი უნდა იყოს „მეცნიერების ბაკალავრი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში“ ნაცვლად „მეცნიერებათა ბაკალავრისა ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში“.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, გ.ღვედაშვილმა, ნ.დორეულმა და სხვებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი ხარისხის დაზუსტების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი ხარისხი დაზუსტდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „მეცნიერების ბაკალავრი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში“.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი